



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 50

2017 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და  
საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის  
სამეცნიერო კვლევისათვის“ გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N489060, 10.05.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსი - სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის (შემდგომში - კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის თავფურცლის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსზე წარსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიის - CV-ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქის თანხმობის წერილის - Letter of commitment - ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

10. დამტკიცდეს „განცხდება კონკუსში მონაწილეობის შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;

12. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

13. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი